

შპს „ლაქტალის ჯორჯია“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

თბილისი

2018

სარჩევი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	9
სპეციალური დანიშნულების მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	10
სპეციალური დანიშნულების ფულადი ნაკადების ანგარიშგება	11
სპეციალური დანიშნულების კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	12
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	13
1. ძირითადი ინფორმაცია	13
2. მომზადების საფუძვლები	13
3. საქართველოს ბიზნეს გარემო	15
4. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	15
5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	24
6. დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	24
7. სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	25
8. სასაქონლო-მატერიალური მარაგი	25
9. წინასწარ გადახდილი გადასახადები	25
10. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	27
11. ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	28
12. საგადასახადო ვალდებულებები	28
13. გასაცემი პროცენტები, დივიდენდები და მსგავსი ვალდებულებები	29
14. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	29
15. ანარიცხები	30
16. შემოსავალი მომსახურებიდან და რელიზაციიდან	30
17. მიწოდების ხარჯები	31
18. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	32
19. ფინანსური შემოსავლები	33
20. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	33
21. ფინანსური ხარჯები	33
22. სხვა არასაოპერაციო ხარჯები	34
23. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება	34
24. რისკების მართვა	35
25. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	36
26. გაუთვალისწინებელი გარემოებები	38
27. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	39

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნა N2 – „მომზადების საფუძველი“ შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2018 წლის 17 დეკემბერს:

დირექტორი ----- ვიტალი ვასსეპოვი

მთ. ბუღალტერი ----- ალენა ხუციშვილი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ლაქტალის ჯორჯია“-ს მენეჯმენტს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ლაქტალის ჯორჯია“-ს (შემდგომში „კომპანია“) სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების სპეციალური დანიშნულების ანგარიშგებისაგან 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნა N2 – „მომზადების საფუძველი“ შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA-კოდექსი) და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის ნორმების შესაბამისად და ჩვენ აგრეთვე შევასრულეთ IESBA-კოდექსის და ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებები. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოებები – ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი და დასკვნის

გავრცელებისა და გამოყენების შეზღუდვა

ყურადღებას ვამახვილებთ იმ გარემოებაზე, რომ კომპანიის მენეჯმენტის მიერ, წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება ნაწარმოებია ფინანსური

შპს „ლაქტალის ჯორჯია“

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტებზე (შემდგომში ფასს) გადასვლის მიზნით. ახსნა-განმარტებითი შენიშვნა N2 - ში ასახულია რომ წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-ს ყველა მოთხოვნის გათვალისწინებით,

რომლებიც გამოშვებულია და ეფექტურია ან გამოშვებულია და წინასწარ დანერგილია სპეციალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის.

წინამდებარე ანგარიში განკუთვნილია მხოლოდ კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების ფასს-ებზე ტრანსფორმაციისთვის. ეს ანგარიში არ არის გამიზნული სხვა მხარისათვის და არ უნდა იქნას გამოყენებული კომპანიის გარდა სხვა მხარის მიერ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად:

„1. სდპ-მა და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა უნდა მოამზადონ და სამსახურს უნდა წარუდგინონ მმართველობის ანგარიშგება...

2. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს:

ა) საქმიანობის მიმოხილვას; ბ) კორპორაციული მართვის ანგარიშგებას; გ) არაფინანსურ ანგარიშგებას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობის მიმოხილვას ამზადებენ სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კორპორაციული მართვის ანგარიშგებას ამზადებს ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ყ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ არაფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ის სდპ, რომელიც შეესაბამება პირველი კატეგორიის საწარმოს ზომით კატეგორიას, ამასთანავე, საანგარიშგებო პერიოდში ჰყავს საშუალოდ 500-ზე მეტი დასაქმებული...

10. სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვედნილობის თაობაზე. აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით აუდიტორი/აუდიტორული ფირმა განსაზღვრავს არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მიუთითებს მათ არსს“.

კომპანია წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ მეორე კატეგორიის საწარმოს. აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, კომპანიამ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანადროულად წარმოადგინა მმართველობის ანგარიშგება, საქმიანობის მიმოხილვის სახით. საქმიანობის მიმოხილვაში ასახულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. საქმიანობის მიმოხილვა მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის, ძირითადი მაჩვენებლების, რისკებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და

შპს „ლაქტალის ჯორჯია“

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობის შესახებ

კომპანიის 2017 წლის მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედნილია ამავე საანგარიშგებო წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

შპს „ლაქტალის ჯორჯია“

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს „ლაქტალის ჯორჯია“

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული ნაწილის (საქმიანობის მიმოხილვის) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილი - საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

გარიგების პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგად გაიცა აღნიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა:

ზურაბ ართმელაძე

შპს „აუდიტ-არტი“

თბილისი, საქართველო

20 დეკემბერი 2018 წელი

შპს „ლაქტალის ჯორჯია“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი		
	31.12.2017	01.01.2017	შენიშვნა
აქტივები			
მიმდინარე აქტივები, სულ:	10,491,725	6,540,663	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,121,434	799,930	5
დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3,809,729	3,954,716	6
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	10,572	4,283	7
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	3,505,421	1,781,734	8
წინასწარ გადახდილი გადასახადები	44,570	-	9
გრძელვადიანი აქტივები, სულ:	138,048	233,559	
ძირითადი საშუალებები	115,288	210,930	
არამატერიალური აქტივები	22,760	22,629	10
სულ აქტივები:	10,629,774	6,774,222	
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:	6,888,366	5,857,132	
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3,436,206	5,419,649	11
საგადასახადო ვალდებულებები	-	1,151	12
გასაცემი პროცენტები, დივიდენდები და მსგავსი ვალდებულებები	26,959	-	13
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	3,000,000	-	14
ანარიცხები	425,201	436,332	15
სულ კაპიტალი:	3,741,408	917,090	
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი	958,710	958,710	
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	2,782,698	(41,620)	
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი			
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	10,629,774	6,774,222	

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2018 წლის 17 დეკემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- ვიტალი ვასსეპოვი

მთ. ბუღალტერი ----- ალენა ხუციშვილი

თანდართული შენიშვნები მე-13 დან 39-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ლაქტალის ჯორჯია“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სპეციალური დანიშნულების მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი 2017	შენიშვნა
შემოსავალი მომსახურებიდან და რეალიზაციიდან	24,746,602	16
რეალიზებული პროდუქციის/გაწეული მომსახურების თვითღირებულება	(17,025,760)	
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	7,720,843	
მიწოდების ხარჯები	(3,977,468)	17
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1,622,985)	18
სულ საოპერაციო ხარჯები:	(5,600,453)	
ფინანსური შემოსავლები	7,360	19
დადებითი საკურსო სხვაობები	570,538	
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	1,659,730	20
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	2,237,628	
ფინანსური ხარჯები	(26,959)	21
ზარალი ძირით. საშუალებ. და არამატ. აქტივების გასვლიდან	(4,523)	
უარყოფითი საკურსო სხვაობები	(1,190,279)	
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(311,938)	22
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	(1,533,699)	
მოგება დაბეგვამდე:	2,824,318	
მოგების გადასახადის ხარჯი		
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი	2,824,318	
სულ საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავალი:	2,824,318	

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2018 წლის 17 დეკემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- ვიტალი ვასსეპოვი

მთ. ბუღალტერი ----- ალენა ხუციშვილი

შპს „ლაქტალის ჯორჯია“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანდართული შენიშვნები მე-13 დან 39-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სპეციალური დანიშნულების ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

	საანგარიშგებ ო პერიოდი 2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:	
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	26,748,364
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(21,326,747)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(1,212,113)
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(4,336,758)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(356,680)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	(483,934)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:	
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(11,113)
მოკლევადიანი სესხები	3,000,000
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	2,988,887
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:	
გადახდილი დივიდენდები	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	-
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	(183,449)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	2,321,504
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	799,930
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	3,121,434

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2018 წლის 17 დეკემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- ვიტალი ვასსეპოვი

მთ. ბუღალტერი ----- ალენა ხუციშვილი

თანდართული შენიშვნები მე-13 დან 39-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ლაქტალის ჯორჯია“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სპეციალური დანიშნულების კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	სააქციო / საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვები	გაუნაწილ. მოგება / დაუფარავი ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	958,710	-	(41,620)	917,090
საადრეგვო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები				-
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები				-
კორექტირების შედეგად გადაანგარიშებული ნაშთები	958,710	-	(41,620)	917,090
საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი	-		2,824,318	2,824,318
ძირ. საშ. და არამატ. აქტ. გადაფასებიდან შემოსულობები ან ზარალი				-
ფინანსური აქტივების შეფასებიდან შემოსულობები ან ზარალი				-
სხვა ცვლილებები სრულ შემოსავალში				-
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	958,710	-	2,782,698	3,741,408
მესაკუთრეების შენატანები კაპიტალში				-
საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა მესაკუთრეებისგან				-
განაწილებული დივიდენდები	-		-	-
სულ მესაკუთრეებთან განხორციელებული ოპერაციები	-	-	-	-
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	958,710	-	2,782,698	3,741,408

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2018 წლის 17 დეკემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- ვიტალი ვასსეპოვი

მთ. ბუღალტერი ----- ალენა ხუციშვილი

თანდართული შენიშვნები მე-13 დან 39-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ლაქტალის ჯორჯია“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. ძირითადი ინფორმაცია

შპს „ლაქტალის ჯორჯია“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულ იქნა 2011 წლის 23 მაისს ქ. თბილისის საჯარო რეესტრის მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია - 404898973. იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი #71, სართული 4, ოფისი 24. კომპანიამ მისამართი შეიცვალა და მისი ამჟამინდელი მისამართია- თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, კახეთის გზატკეცილი მე-10 კმ.

კომპანია ახორციელებს რძისა და რძის პროდუქტების, ბავშვთა კვების პროდუქტების დისტრიბუციას.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელია ბელგიაში რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება B.S.A. International.

2. მომზადების საფუძვლები

კომპანია თავისი ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების მიხედვით მომზადების პროცესშია. კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით სრული შესაბამისობა ფასს-ებთან შესაძლებელია მიიღწიოს მხოლოდ 2018 წლის 31 დეკემბრისათვის. სწორედ ამ მიზნით, მენეჯმენტმა გადაწყვიტა, ეწარმოებინა წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შედგება: 2017 წლის 1 იანვრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო უწყისისაგან, 2017 წლის სპეციალური დანიშნულების მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ფინანსური ანგარიშგებისაგან, სპეციალური დანიშნულების ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და სპეციალური დანიშნულების კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისაგან, ასევე ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველია ფასს-ები. ამ მიზნით საწყისი ბალანსი 2017 წლის 1 იანვრისათვის (ფასსებზე გადასვლის თარიღი) სპეციალური დანიშნულების ბალანსი მომზადებულია ფასს 1 – „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“ შესაბამისად. ეს სტანდარტი

შპს „ლაქტალის ჯორჯია“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მოითხოვს რომ სტანდარტის დანერგვის თარიღის ბალანსი შესაბამისობაში იყოს სრული ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის არსებულ ფასს-ებთან, რომელიც მომზადებული იქნება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-ების ყველა მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლებიც გამოშვებულია და ეფექტურია ან გამოშვებულია და წინასწარ დანერგილია სპეციალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის. შესაძლებელია ეს სპეციალური ფინანსური ანგარიშგება შეიცვალოს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეფექტური ფასს-ებთან შესაბამისობის მიზნით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით.

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება. კომპანიის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ქართული ლარის სიზუსტით.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლითი ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები, რომელიც განისაზღვრა საქართველოს ბანკთაშორისი ოპერაციების შედეგად, აშშ დოლარსა და ევროსთან მიმართებაში იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2017 წლის 1 იანვარს	2.6468	2.7940
2017 წლის 31 დეკემბერს	2.5922	3.1044

3. საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. აგრეთვე არსებობს საკითხები რომლებიც განსხვავებულად ინტერპრეტირდება და მუდმივ ცვლილებებს განიცდიან, რაც დამატებით ბარიერებს წარმოშობს საქართველოში მოქმედი კომპანიებისთვის.

4. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც მოხდა კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

ა) შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით. შემოსავლები აღიარდება, როდესაც არსებობს სარწმუნო მტკიცებულებები, როდესაც მყიდველს გადაეცემა მნიშვნელოვანი რისკები და საკუთრების უფლება საქონელზე, გაწეულია გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები და საიმედოდ შეფასებულია საქონლის შესაძლო უკან დაბრუნება.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

ბ) ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავლები და ხარჯები მოიცავს სესხებზე დარიცხული პროცენტის თანხებს, ასევე ფინანსურ აქტივებზე და ფინანსურ ვალდებულებებზე უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეულ შემოსავლებსა და ხარჯებს.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული სარგებელი ან ზარალი წარმოდგენილია წმინდა ღირებულებით, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური

შპს „ლაქტალის ჯორჯია“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ხარჯი, იქიდან გამომდინარე, უცხოური ვალუტის მოძრაობით მიღებული შედეგი წმინდა შემოსავალია თუ წმინდა ხარჯი.

კომპანიის სხვა შემოსავალს წარმოადგენს ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება, კრედიტორებისგან მიღებული კრედიტ-ნოტები და საპროცენტო შემოსავალი საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან, გაცემული სესხებიდან, ფასიანი ქაღალდებიდან და თამასუქებიდან და სხვა შემოსავალი. კომპანია საპროცენტო შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად, რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს მას მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

გ) გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული საკურსო სხვაობა აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დ) დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება გაწეული მომსახურების საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ კომპანიას გააჩნია ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დაქირავებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

შპს „ლაქტალის ჯორჯია“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ე) გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადების ხარჯებს.

გადავადებული მოგების გადასახადი ან გადავადებული საგადასახადო აქტივი გამოითვლება საბალანსო ვალდებულებების მეთოდით ყველა იმ დროებითი სხვაობების გათვალისწინებით, რომლებშიც წარმოიქმნება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით გამოთვლილ აქტივსა (ვალდებულებებსა) და საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით გამოთვლილ აქტივებს (ვალდებულებებს) შორის.

კომპანიის მიმდინარე მოგების გადასახადი 2017 წლამდე გამოითვლება საგადასახადო მოგების (საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საგადასახადო შემოსავლებსა და გამოსაქვით ხარჯებს შორის სხვაობის) და მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთის გამოყენებით.

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა), არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები.

2017 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15% შეადგენდა.

ვ) მარაგები

მარაგები შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემენასთან და სხვა დანახარჯებს, რომელიც მოიცავს მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის

შპს „ლაქტალის ჯორჯია“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

ზ) ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მათი თვითღირებულებით (ისტორიული ღირებულება) გამოკლებული დაგროვილი ცვეთა.

კომპანია არამატერიალურ აქტივებს აღრიცხავს მათი თვითღირებულებით (ისტორიული ღირებულება) გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია.

კომპანია აღრიცხავს ცვეთას წრფივი მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის მიხედვით:

სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა

ოფისის აღჭურვილობა, კომპიუტერული	
ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები,	
სატრანსპორტო საშუალებები	- 5 წელი
მანქანა-დანადგარები	- 12,5 წელი
სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები	- 6,67 წელი
არამატერიალური აქტივები	- 6,67 წელი

ძირითადი საშუალებების შემენის თვე ცვეთის დარიცხვის მიზნებისთვის აიღება როგორც სრული თვე, ხოლო ძირითადი საშუალების გასვლის თვე ცვეთის დარიცხვის დროს არ გაითვალისწინება.

ძირითადი საშუალება იცვითება იმ თვიდან, როდესაც ხდება მისი ექსპლუატაციაში გაშვება ან ის მზადაა დანიშნულებისამებრ ექსპლუატაციაში გაშვებისთვის.

შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

თ) ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მოთხოვნებად, დაფარვის ვადამდე ფლობილ ფასიან ქაღალდებად ან გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ

შპს „ლაქტალის ჯორჯია“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

აქტივებად. კომპანია განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას მათი თავდაპირველი აღიარებისას და მოგვიანებით შეიძლება მოახდინოს ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია ქვემოთ მოცემულ შემთხვევებში.

აღიარების თარიღი

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების ობიექტური ნიშნები. ფინანსური აქტივი თუ ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად მხოლოდ მაშინ მიიჩნევა, თუ არსებობს რამე შემთხვევის ან შემთხვევების შედეგად გამოწვეული გაუფასურების არსებობის ობიექტური საფუძველი, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ („ზარალის დადგომის შემთხვევა“) და ზარალის დადგომის შემთხვევას ან შემთხვევებს გავლენა აქვს ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და

შპს „ლაქტალის ჯორჯია“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

• კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

ი) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

კ) მოთხოვნები საქმიანობიდან და სხვა მიმდინარე მოთხოვნები

მოთხოვნები წარმოადგენენ ყველა მიმდინარე მოთხოვნებს მომსახურებიდან და მიწოდებიდან, წინასწარ გადახდილი გადასახადების და წინასწარ გაწეული ხარჯების გარდა.

სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების დანაკარგი. დებიტორული დავალიანების გაუფასურების დანაკარგი ჩამოყალიბებულია, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა თანხის შეგროვებას მისაღები მოთხოვნების მიხედვით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საექვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, პირდაპირ ჩამოიწერება და აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალში.

შპს „ლაქტალის ჯორჯია“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ლ) აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივი შეფასდება ყოველ ანგარიშგების დღეს იმ მიზნით, რომ განისაზღვროს არსებობს თუ არა მისი გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი ჩაითვლება გაუფასურებულად იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მტკიცებულებით ნაჩვენებია აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ ზარალის შემთხვევა, რაც შესაძლებელია უარყოფითად აისახოს აღნიშნული აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებაში, რაც ფასდება საიმედოდ.

მ) ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა აღნიშნული ვალდებულების დაფარვისათვის და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ნ) ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (ბალანსში) აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

შპს „ლაქტალის ჯორჯია“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ო) ახალი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა და ჯერ არ არის დანერგილი

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, და რომლებმაც შეიძლება იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ სტანდარტების მიღებას შემდგომი დაგეგმვით აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ სხვა ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

– ფასს 9 - „ფინანსური ინსტრუმენტები“;

ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის. სტანდარტი ცვლის ბასს 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ სახელმძღვანელო მითითებებს და ეხება ფინანსური აქტივების და ვალდებულებების კლასიფიკაციას, გაზომვას და აღიარებას, ფინანსური აქტივების გაუფასურების გაანგარიშებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ახალი მოდელის და ჰეჯირების აღრიცხვის ახალი ზოგად მოთხოვნების ჩათვლით. მას ასევე გადმოაქვს ფინანსური ინსტრუმენტების აღიარებასა და აღიარების შეწყვეტის სახელმძღვანელო მითითებები ბასს 39-დან. კომპანია აფასებს პოტენციურ ზეგავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე, მაგრამ არ არის მოსალოდნელი, რომ ამას არსებითი გავლენა ჰქონდეს კომპანიის საქმიანობის შედეგებზე.

– ფასს 15 - „შემოსავლები კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“;

ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის. სტანდარტი ცვლის შემოსავლების აღიარების არსებულ სახელმძღვანელო მითითებას, მათ შორის ბასს 18 „შემოსავლები“, ბასს 11 „სამშენებლო კონტრაქტები“ და IFRIC 13 „კლიენტების მიმართ ლოიალურობის პროგრამები“ და ადგენს ყოვლისმომცველ ჩარჩოს იმის განსაზღვრად, თუ რამდენად, რა რაოდენობით და როდის ხდება შემოსავლის აღიარება ხუთეტაპიანი მოდელის შემოღებით. წინასწარი შეფასებების საფუძველზე ამ შესწორებების და ინტერპრეტაციების მიღებას, სავარაუდოდ, არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ფინანსურ მდგომარეობაზე თუ გამჟღავნებულ ინფორმაციაზე.

– ფასს 16 - „იჯარა“.

2015 წლის იანვარში, ბასსს-მა გამოუშვა ფასს (IFRS) 16 „იჯარა“, რომელიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ შემოსავლის შესახებ ახალი სტანდარტის - ფასს 15-ის გამოყენებაც იმავე თარიღით მოხდება. ფასს 16-ის გამოყენება შეიძლება მთლიანად

შპს „ლაქტალის ჯორჯია“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. ფასს 16 მოითხოვს, რომ მოიჯარეებმა იჯარები აღრიცხონ სტანდარტის ფარგლებში იმის ანალოგიურად, როგორც ამჟამად აღირიცხება ფინანსური იჯარა ბასს 17-ის „იჯარა“ მიხედვით. მოიჯარეები აღიარებენ აქტივის „გამოყენების უფლებას“ და შესაბამის ფინანსურ ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე. აქტივის ამორტიზება მოხდება იჯარის ვადის განმავლობაში და ფინანსური ვალდებულება შეფასდება ამორტიზებული ღირებულებით. მოიჯარეებმა ყველა აღიარებული იჯარისთვის ერთიანი მოდელი უნდა გამოიყენონ, თუმცა მათ უფლება აქვთ არ აღიარონ „მოკლევადიანი“ იჯარები და იჯარები „დაბალი ღირებულების მქონე“ აქტივებით. მეიჯარის აღრიცხვა არსებითად იგივე რჩება, რასაც ბასს 17 ითვალისწინებს. კომპანია არ მოელის ფასს 16-ის ვადაზე ადრე მიღებას და ამ ეტაპზე აფასებს ფასს 16-ის გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს „ლაქტალის ჯორჯია“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	ნაშთი 31.12.2017 (ლარი)	ნაშთი 01.01.2017 (ლარი)
ნაღდი ფული საღაროში	15,913	31,352
ნაღდი ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	3,105,521	768,578
	3,121,434	799,930

კომპანიას ანგარიშები გახსნილი აქვს საქართველოს სამ კომერციულ ბანკში - სს „საქართველოს ბანკი“, სს „თიბისი ბანკი“ და სს „ჰალივ ბანკი საქართველო“.

6. დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	ნაშთი 31.12.2017 (ლარი)	ნაშთი 01.01.2017 (ლარი)
დებიტორული დავალიანება პროდუქციის რეალიზაციიდან	4,683,627	4,323,253
უიმედო მოთხოვნები	(873,899)	(368,537)
	3,809,729	3,954,716

კომპანია საქმიანობს პირდაპირი გაყიდვების გზით, აქედან გამომდინარე, კლიენტების სიას შეადგენს მაღაზიები, სასტუმროები, ბარები, რესტორნები, საბითუმო რეალიზატორები საქართველოს ტერიტორიაზე.

უიმედო მოთხოვნების რეზერვის მოძრაობა

	2017 წ.
1 იანვრის მდგომარეობით	368,537
გამოყენება	-
გაზრდა/(შემცირება) მიმდინარე პერიოდისთვის	505,362
31 დეკემბრის მდგომარეობით	873,899

შპს „ლაქტალის ჯორჯია“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

7. სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	ნაშთი 31.12.2017 (ლარი)	ნაშთი 01.01.2017 (ლარი)
საქვეანგარიშოდ გაცემული თანხები	10,572	4,283
	<u>10,572</u>	<u>4,283</u>

8. სასაქონლო-მატერიალური მარაგი

	ნაშთი 31.12.2017 (ლარი)	ნაშთი 01.01.2017 (ლარი)
საქონელი საწყობში	3,422,921	1,752,395
სხვა მასალები	82,500	29,339
	<u>3,505,421</u>	<u>1,781,734</u>

9. წინასწარ გადახდილი გადასახადები

	ნაშთი 31.12.2017 (ლარი)	ნაშთი 01.01.2017 (ლარი)
ერთიანი საგადასახადო ზარათი	44,570	
	<u>44,570</u>	<u>-</u>

შპს „ლაქტალის ჯორჯია“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

2017 წლამდე საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით შესაძლებელი იყო სხვადასხვა გადასახადების გადახურვა, თუ ერთ გადასახადში კომპანიას ავანსად გადახდა უფიქსირდებოდა, ხოლო მეორე გადასახადში დავალიანება.

2017 წლის დასაწყისში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით გაერთიანდა გადასახადების ბარათები და საწარმოს დავალიანება/ავანსი ბიუჯეტის მიმართ აისახება ერთიან საგადასახადო ბარათზე ჯამურად.

10. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

	მანქანა დანადგარ ები	სატრანსპ ორტო საშუალე ბები	ოფისის აღჭურვი ლობა	კომპიუტერუ ლი ტექნიკა და პერიფერიუ ლი მოწყობილო ბები	სხვა ამორტიზ ებადი ძირითად ი საშუალე ბები	არამატერ იალური აქტივები	სულ
	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)
ისტორიული ღირებულება							
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	58726	206936	12059	64,299	71,158	44601	457,778
დამატება	-	-	-	-	-	17786	17,786
(შემცირება)	(56,726)	-	(1,639)	(7,395)	(50,085)	-	(115,845)
გადაფასება	-	-	-	-	-	-	-
სულ ისტორიული ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2000	206936	10419	56,904	21,073	62,387	359,719
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება							
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	19612	122676	4640	31341	23,978	21,972	224,219
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		16852		2,655		17,655	37,162
ჩამოწერა	(19,570)	-	(162)	-	(19,978)		(39,710)
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	42	139,528	4,478	33,996	4,000	39,627	221,671
ნარჩენი ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,958.33	67,408	5,941	22,908	17,073	22,760	138,048

შპს „ლაქტალის ჯორჯია“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

11. ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	ნაშთი 31.12.2017 (ლარი)	ნაშთი 01.01.2017 (ლარი)
კრედიტორული დავალიანება რეზიდენტი სავაჭრო კრედიტორის წინაშე	432,481	575,015
კრედიტორული დავალიანება არარეზიდენტი სავაჭრო კრედიტორების წინაშე	2,864,603	4,674,295
გადასახდელი ხელფასი	12,696	28,961
გადასახდელი მომსახურების ანაზღაურება	39,679	26,930
საბაჟოზე გადასახდელი გადასახადები	86,745	114,448
	3,436,206	5,419,649

12. საგადასახადო ვალდებულებები

2017 წლამდე საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით შესაძლებელი იყო სხვადასხვა გადასახადების გადახურვა, თუ ერთ გადასახადში კომპანიას ავანსად გადახდა უფიქსირდებოდა, ხოლო მეორე გადასახადში დავალიანება.

2017 წლის დასაწყისში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით გაერთიანდა გადასახადების ბარათები და საწარმოს დავალიანება/ავანსი ბიუჯეტის მიმართ აისახება ერთიან საგადასახადო ბარათზე ჯამურად.

	ნაშთი 31.12.2017 (ლარი)	ნაშთი 01.01.2017 (ლარი)
ერთიანი საგადასახადო ბარათი		1,151
	-	1,151

შპს „ლაქტალის ჯორჯია“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

13. გასაცემი პროცენტები, დივიდენდები და მსგავსი ვალდებულებები

	ნაშთი 31.12.2017 (ლარი)	ნაშთი 01.01.2017 (ლარი)
გადასახდელი პროცენტები	26,959	
	<u>26,959</u>	<u>-</u>

14. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	ნაშთი 31.12.2017 (ლარი)	ნაშთი 01.01.2017 (ლარი)
მიღებული მოკლევადიანი სესხები ეროვნულ ვალუტაში	3,000,000	
	<u>3,000,000</u>	<u>-</u>

კომპანიას სს „საქართველოს ბანკისგან“ აღებული აქვს მოკლევადიანი სესხი 3 000 000 ლარის ოდენობით.

შპს „ლაქტალის ჯორჯია“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

15. ანარიცხები

	ხელფასები	IT მომსახურება	აუდიტი	გადასახადები	ბავშვთა კვების პროდუქციის ამოღება ქსელიდან	სულ
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	129,874	-	77,500	228,958	-	436,332
დამატებით შექმნილი ანარიცხები						
მიმდინარე პერიოდისთვის	110,006	7,444	23,247		284,504	425,202
გამოყენება	(124,197)	-	(57,691)	(214,860)	-	(396,748)
ანულირება	(5,677)	-	(19,809)	(14,099)	-	(39,585)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	110,006	7,444	23,247	-	284,504	425,201

- კომპანია ქმნის ანარიცხებს სახელფასო განაცემებზე, რომელიც წლის ბოლოს საბოლოოდ არ არის დადასტურებული იმის გამო, რომ ხდება წლიური ბუნუსების კორექტირება კომპანიის წლიური შედეგიდან გამომდინარე.
- კომპანიამ შექმნა ანარიცხი 2017 წლის IT მომსახურებაზე, რომელზეც არსებობს საკონტრაქტო ვალდებულება, თუმცა ინვოისი მიმწოდებელს ჯერ არ წარმოუდგენია.
- კომპანია წლის ბოლოს ქმნის ანარიცხებს შესაბამისი წლის აუდიტორულ მომსახურებაზე, რომელზეც არსებობს საკონტრაქტო ვალდებულება, თუმცა ინვოისი მიმწოდებელს ჯერ არ წარმოუდგენია.
- 2016 წლის განმავლობაში კომპანიაში მიმდინარეობდა საგადასახადო შემოწმება. კომპანიამ 2016 წლის ბოლოს შექმნა მოსალოდნელი საგადასახადო დარიცხვის ანარიცხი.
- საფრანგეთში წარმოებული ბავშვთა კვების ზოგიერთ პარტიაში სალმონელა ბაქტერიის გამოვლენის ეჭვის გამო, კომპანიამ გადაწყვიტა რეალიზაციიდან ამოიღოს ყველა CELIA-ს ბრენდის პროდუქცია. ეს პროცესი დაიწყო 2017 წლის დეკემბერში და დამთავრდა 2018 წელს. შესაბამისად, 2017 წლის ბოლოს კომპანიამ შექმნა ანარიცხი მოსალოდნელ ზარალზე.

16. შემოსავალი მომსახურებიდან და რეალიზაციიდან

	2017 წელი (ლარი)
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	26,039,111
რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება	(1,660,923)
სხვა საოპერაციო შემოსავლები	368,415
	24,746,602

შპს „ლაქტალის ჯორჯია“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

17. მიწოდების ხარჯები

	2017 წელი
	(ლარი)
შრომის ანაზღაურება (მიწოდების ხარჯი)	887,521
საიჯარო ქირა	4,703
საკანცელარიო ხარჯები	12,574
საწვავის ხარჯი	53,689
ავტომანქანის- საექსპლუატაციო ხარჯები	473
საექსპლუატაციო ხარჯები	12,109
დაზღვევის ხარჯები	4,719
ელექტროენერგია და გაზი	2,013
კომპიუტერის ხარჯები	6,221
კომუნიკაციის ხარჯი	2,140
ლოჯისტიკური მომსახურება	465,502
მარკეტინგის ხარჯები	2,353,444
ბრენდით სარგებლობის და წლიური საწევროები	84,213
საერთო დანიშნულების არამატ. აქტივების ამორტიზაცია	511
საერთო დანიშნულების ძირ. საშუალებების ცვეთა	13,520
სხვა მიწოდების ხარჯი	74,115
	3,977,468

შპს „ლაქტალის ჯორჯია“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

18. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2017 წელი (ლარი)
შრომის ანაზღაურება (საერთო-ადმინისტრაციული)	639,502
საიჯარო ქირა	48,370
კომპიუტერის ხარჯები	1,400
კომუნიკაციის ხარჯი	19,295
საკანცელარიო ხარჯები	2,410
მივლინების ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	58,911
საგადასახადო ხარჯები	34,020
საერთო დანიშნულების არამატ. აქტივების ამორტიზაცია	3,394
საერთო დანიშნულების ძირ. საშუალებების ცვეთა	15,561
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	214,206
უიმედო ვალების ხარჯი	505,362
სატრანსპორტო ხარჯი	11,869
საწვავის ხარჯი	7,496
სხვა ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ხარჯი (გარდა შენობა-ნაგებობისა)	2,442
შენობა-ნაგებობების საექსპლუატაციო ხარჯები	169
წარმომადგენლობითი ხარჯები	34,950
საბანკო ხარჯები	19,617
საერთო დანიშნულების დაზღვევის ხარჯები	1,683
სამეურნეო ხარჯები	1,449
სანოტარო მომსახურება	192
სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები	689
	1,622,985

შპს „ლაქტალის ჯორჯია“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

19. ფინანსური შემოსავლები

	2017 წელი (ლარი)
შემოსავლები დეპოზიტებიდან	7,360
	7,360

20. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები

	2017 წელი (ლარი)
შემოსავალი ინვენტარიზაციით გამოვლენილი ზედმეტობიდან	107,548
უსასყიდლოდ მიღებული მომსახურება და საქონელი	92,161
ვალის პატივით მიღებული შემოსავალი	1,280,360
ინვენტარიზაციის შედეგად მიღებული დანაკლისის ანაზღაურება	179,661
	1,659,730

21. ფინანსური ხარჯები

	2017 წელი (ლარი)
საპროცენტო ხარჯები	26,959
	26,959

22. სხვა არასაოპერაციო ხარჯები

2017 წელი

(ლარი)

ზარალი უვარგისი პროდუქციის ჩამოწერიდან

311,938

311,938

23. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების წინასწარი გაანგარიშება მიზნად ისახავს სავარაუდო ფასის მიახლოებით განსაზღვრას, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გასაყიდად ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის გზით ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. ამასთან, გაურკვევლობის გათვალისწინებით და სუბიექტური განსჯის მეშვეობით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი ნასყიდობის გზით ან ვალდებულებათა გადაცემის მეშვეობით.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები შეფასებითი ტექნიკის გამოყენებით. შეფასების ტექნიკების მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც უნდა იქნეს მიღებული აქტივის გასაყიდად ან გადახდილი ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. გამოყენებული შეფასებითი ტექნიკა არის დისკონტირებული ფულადი საშუალებების მოძრაობის მოდელი. ყველა ფინანსური აქტივის და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დაანგარიშდება მომავალში ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტების ფულადი საშუალებების მოძრაობის საფუძველზე, რომელთა დისკონტირება ხდება ანგარიშგების დღეს პროცენტის საბაზრო განაკვეთით.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მიახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია.

24. რისკების მართვა

მმართველობითი სისტემა

კომპანიის რისკისა და ფინანსური მართვის სისტემის მთავარი მიზანია დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც აბრკოლებს კომპანიის მიზნების მიღწევას და შესაძლებლობების გამოყენებას. კომპანია აანალიზებს რისკების ეფექტური და ეფექტიანი მართვის სისტემის უდიდეს მნიშვნელობას. დანერგილია პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის რისკზე ორიენტირებულობას, რისკის მართვას, კონტროლსა და საქმიანობის სტანდარტებს.

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი ;
- ლიკვიდურობის რისკი ;
- საბაზრო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. კომპანია მართავს საკრედიტო რისკის დონეს, რომელზეც იგი პასუხისმგებელია საკრედიტო რისკის საერთო პოლიტიკით, რომელშიც შეფასებული და განსაზღვრულია, რა წარმოადგენს კომპანიისთვის საკრედიტო რისკს, რისკის ლიმიტი თითოეული კონტრაგენტის, გეოგრაფიული მდებარეობისა და საქმიანობის სფეროსთვის, გაქვითვის უფლება, როდესაც კონტრაგენტები ერთდროულად მოვალეები არიან და კრედიტორებიც.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ საწარმოს შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნები.

შპს „ლაქტალის ჯორჯია“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას საწარმოს მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი):

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელსაც ატარებს პროცენტიანი აქტივი, როგორცაა სესხი, მცოცავი საპროცენტო განაკვეთის არსებობის გამო. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება, როდესაც მოცემული ვადიანობის ფაქტობრივი ან მოსალოდნელი აქტივები მეტია ან ნაკლებია იმავე ვადიანობის ფაქტობრივ ან მოსალოდნელ ვალდებულებებზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაზე. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

25. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. შესაძლო დაკავშირებული მხარეების თითოეული შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას, არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს

შპს „ლაქტალის ჯორჯია“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

იმავე პირობებზე და თანხებზე, როგორც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

განხორციელებული ტრანზაქციები ძირითად მენეჯმენტთან

	2017 წელი (ლარი)
ხელფასი და სხვა სარგებელი	625,591

განხორციელებული ტრანზაქციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

	ნაშთი 31.12.2017 (ლარი)
აქტივები:	
სანტე ჯი ემ თი პროდუქტები (დღგ) (0543)	ძირითადი საშ. რეალიზაცია 467
LACTALIS ARMA LLC (0545)	პროდუქციის რეალიზაცია 124
	592

	ნაშთი 31.12.2017 (ლარი)
ვალდებულებები:	
შპს სანტე ჯი ემ თი პროდუქტები (0543)	ლოგისტიკური მომსახურება და ოფისის იჯარა 112,051
AK GIDA SANAYI TIC. A.S. (0330)	პროდუქციის შესყიდვა 71,645
L.R.D. (0204)	მარკეტინგული ხარჯები 87,867
Lactalis Formation	ტრენინგის ჩატარება -
LDA MARKETING (0211)	მარკეტინგული ხარჯები 2,732
ლაქტალის ვოსტოკ (0500)	პროდუქციის შესყიდვა 664,522
ლაქტალის ინტერნაციონალი (0300)	პროდუქციის შესყიდვა 1,684,180
ლაქტალის უკრაინა (0453)	პროდუქციის შესყიდვა 355,070
	2,978,068

	2017 წელი (ლარი)
შემოსავალი:	
დადებითი საკურსო სხვაობები	459,290
უსასყიდლო მიწოდება	62262.74
Credit Notes - ფასდაკლება	1,272,122
ვალის პატიება	
ზარალის ანაზღაურება	21,694
	1,815,368

შპს „ლაქტალის ჯორჯია“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	2017 წელი (ლარი)
ხარჯები:	
უარყოფითი საკუროს სხვაობები	908,940
ვალის პატიება	
ლოგისტიკური მომსახურება და იჯარა	211,237
მარკეტინგის ხარჯი	
RD	
IT	
ტრანსპორტირება	9,323
უსასყიდლო მიწოდება	8,990
	1,138,490

26. გაუთვალისწინებელი გარემოებები

კანონმდებლობა

საკმაოდ ხშირად ხდება საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის არაერთგვაროვანი განმარტება და ცვლილება. ხელმძღვანელობის მიერ ამგვარი კანონმდებლობის განმარტებები, რომლებიც გამოიყენება კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებაში, შესაძლებელია ექვექვე დააყენონ შესაბამისმა რეგიონულმა და სახელმწიფო სამსახურებმა. საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში საგადასახადო ორგანოებს სულ უფრო მკაცრი პოზიცია უჭირავთ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და შეფასებებისას და ამის გამო, შესაძლოა ის ოპერაციები და საქმიანობები, რომლებიც წარსულში ექვექვე არ დამდგარა, სადავო გახდეს მომავალში. ამ სახით, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მნიშვნელოვან დამატებით გადასახადებს, ჯარიმებსა და საურავებს. არაპრაქტიკულია გაუცხადებელი მოთხოვნების ოდენობის განსაზღვრა, რომელმაც შეიძლება თავი იჩინოს მომავალში, (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ნებისმიერი არახელსაყრელი შედეგის ალბათობის განსაზღვრა. ფისკალური პერიოდები ღია რჩება შესაბამისი ორგანოების მიერ საგადასახადო შემოწმებისთვის სამი კალენდარული წლის განმავლობაში, შემოწმების წლამდე. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება მოიცვას უფრო ხანგრძლივი პერიოდებიც. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისებული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები დარჩება უცვლელად.

შპს „ლაქტალის ჯორჯია“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სასამართლო დავები

2017 წელს კომპანია აწარმოებდა დავას შპს „G & A GROUP“ (მოპასუხე)-ის წინააღმდეგ აღნიშნული დავა, რომელიც შეეხებოდა ზიანის ანაზღაურებას, დასრულდა მხარეთა მორიგებით 2017 წლის 8 სექტემბერს. მორიგების პირობების თანახმად, შპს „G & A GROUP“-ს კომპანიის სასარგებლოდ დაეკისრა 130 000 ლარის გადახდა, ხოლო კომპანიას დაეკისრა შპს „G & A GROUP“-ის სასარგებლოდ 4750 ლარის გადახდა.

სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ამის გამო ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები. ეს ცვლილებები საკმაოდ ბუნდოვან და ხშირად ურთიერთგამომრიცხავ ხასიათს ატარებენ, რითიც საგადასახადო ორგანოებს საშუალებას აძლევს მოახდინონ ამ ცვლილებების სხვადასხვანაირი ინტერპრეტირება. გადასახადების შემოწმება შესაძლოა სხვადასხვა ორგანოების მიერ იქნას ჩატარებული, რის გამოც კომპანიას სხვადასხვა ხასიათის ჯარიმების, თუ საურავების დაკისრების საფრთხე ექმნება.

ეს გარემოებები ქმნიან ისეთ საგადასახადო რისკს, რომელიც გაცილებით მაღალია საქართველოში ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მის მიერ განხორციელებული მიდგომა საგადასახადო საკითხების მიმართ ადეკვატურია ამ მომენტში საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო ინტერპრეტაციების მიმართ, თუმცა არ არის გამორიცხული ის, რომ ეს ინტერპრეტაციები შემდგომში შეიცვალოს და საგადასახადო ორგანოებს სხვა პოზიცია ჰქონდეთ ანალოგიური საკითხების მიმართ.

27. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2017 წლის ბოლოს ბავშვთა კვების პროდუქტებში Celia, Picot, Milumel-ში საფრანგეთში აღმოჩენილ იქნა სალმონელას ბაქტერია. ამასთან დაკავშირებით, კომპანიამ დაიწყო პროდუქტის ბაზრიდან ამოღება და 2018 წელს ზარალმა ამ ოპერაციიდან შეადგინა დაახლოებით 270 514 ლარი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სხვა ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს, რომლებიც შეიძლება იწვევდეს ფინანსური ანგარიშგების მუხლების შესწორებას ან განმარტებითი შენიშვნების დამატებას, ადგილი არ ჰქონია.

შპს „ლაქტალის ჯორჯია“-ს მმართველობითი ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა)

1. საწარმოს დაარსების ისტორია:

შპს „ლაქტალის ჯორჯია“, როგორც სადისტრიბუციო ორგანიზაცია, შეიქმნა და დაიწყო თავისი ბიზნეს საქმიანობა 2011 წელს მაისში. კომპანიის საქმიანობა მოიცავს პროდუქციის იმპორტსა და დისტრიბუციას საქართველოს ბაზარზე. დღეისთვის „ლაქტალის ჯორჯია“-ს აქვს შექმნილი საკუთარი სადისტრიბუციო ქსელი, სადაც პირდაპირი გაყიდვების გზით ხდება მზა პროდუქციის განაწილება მთელი საქართველოს მასშტაბით.

1. ლაქტალის ჯგუფის მიმოხილვა

„ლაქტალის ჯგუფის“ დაარსება დათარიღებულია 1933 წელს, როდესაც ანდრე ბენიემ შექმნა საკუთარი კომპანია, Societe Laitiere de Laval A.Besnier et Cie, ლავალში, საფრანგეთში.

„ლაქტალის ჯგუფი“ არის ლიდერი რძის პროდუქტების კატეგორიაში, რეიტინგით მესამე უდიდესი რძის შემგროვებელი და მსოფლიო ლიდერი ყველის ბაზარზე. „ლაქტალის ჯგუფი“ არის მეთხუთმეტე უდიდესი აგროსასურსათო ჯგუფი მსოფლიოში, ხოლო ევროპაში მესამე ადგილი უჭირავს.

„ლაქტალის ჯგუფი“ მოიცავს ტერიტორიებს მსოფლიოს მასშტაბით, კერძოდ ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკას, ევროპას, ახლო აღმოსავლეთს და აზიას. ლაქტალის ჯგუფს აქვს 192 მწარმოებელი ქარხანა და 33 კომერციული ოფისი საფრანგეთსა და სხვა დანარჩენ მსოფლიოს ქვეყნებში. ლაქტალის ჯგუფში დასაქმებულია 61,000 მეტი ადამიანი, მათ შორის 45,000 საფრანგეთის ფარგლების გარეთ.

ლაქტალის ჯგუფი სპეციალიზირებულია შემდეგ კატეგორიებში:

- ყველი
- ნატურალური რძე
- შეციებული რძის პროდუქტები
- კარაქი და ნალები
- საკვები (საბავშვო, სამკურნალო და სპორტული)
- კვების სერვისი
- რძის ინგრედიენტები
- გამოყვანილი ხორცი
- წვენი და ხილზე დამზადებული საკვები

2. საწარმოს სამართლებრივი სტატუსი და დამფუძნებლები:

შპს „ლაქტალის ჯორჯია“

2017 წლის მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა)

შემდეგ სქემაზე ასახულია შპს „ლაქტალის ჯორჯია“-ს სამართლებრივი ფორმის




სტრუქტურა.

3. წესდებით განსაზღვრული კაპიტალი:

350 000 ევრო

4. ორგანიზაციული სტრუქტურა:



5. **აღმასრულებელი მენეჯერები, რომლებიც მონაწილეობენ დირექტორებთან ერთად გადაწყვეტილებების მიღების პროცესში:**

მარკეტინგის მენეჯერი, გაყიდვების მენეჯერი, ფინანსური მენეჯერი, შესყიდვების და დაგეგმარების მენეჯერი

6. **საწარმოს მისია და საქმიანობის მიზანი:**

„ლაქტალის ჯორჯიას“ სტრატეგიული მიზანია „ლაქტალის ჯგუფის“ პროდუქციის წილის გაზრდა საქართველოს ბაზარზე.

7. **საქმიანობის სახეები, ძირითადი სამოქმედო ბაზრები და მისი კონკურენტები:**

საქართველოს რძის პროდუქტების ბაზარს ძირითადად შეადგენს: სასმელი რძე, ყველი, იოგურტი, რძემჟავე პროდუქტები და სხვა რძის ნაწარმი, მათ შორის ხაჭო, ნალები, შეციებული საკვები, შედედებული რძე.

დისტრიბუციის არხები შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

- სავაჭრო აპარატები: მოიცავს ავტომატურ მანქანებს (საჯარო და კერძო ადგილებში), რომლებიც გასცემენ დაფასოებულ საკვებს, სასმელს და პირადი ჰიგიენის ნივთებს. ასევე მოიცავს მანქანებს, რომლებიც ნაღდი და ელექტრონული გადახდების მიღებას ახორციელებენ და არ მოიცავენ მაღაზიასთან მდებარე სავაჭრო აპარატების მიერ განხორციელებულ გაყიდვებს.
- მარკეტები: პატარა მაღაზიები, რომლების საერთო ფართი ზოგადად 3000 კვმ ნაკლებია (280 კვ მ) დასპეციალიზირებულია შეზღუდული საკვების და სასურსათო პროდუქციის ნაწილზე. ბრენდირებული და/ან ფრენჩაიზირებული საბითუმო სავაჭრო წერტილები, როგორც წესი ხანგრძლივი სამუშაო საათებით. საგაზეთო ჯიხურიც შედის ამ ნაწილის ფარგლებში.
- ენერგო გასამართი სადგურები: სადღესამისო მაღაზიები მდებარეობს იმ ადგილებში, სადაც იყიდება საწვავი. ისინი არიან ცნობილი, როგორც მაღაზიები ავტოგასამართ სადგურთან, ბენზინგასამართ სადგურთან.
- უნივერსალური მაღაზია (მათ შორის მაღაზიები duty-free): ეს არიან დიდი მრავალდარგობრივი საცალო მაღაზიები დახარისხებული განყოფილებებით, რომლებიც სპეციალიზირებულია გარკვეულ პროდუქტების სფეროში და მოიცავს კონცესიის სავაჭრო წერტილებს უნივერსალის ფარგლებში.
- სუპერმარკეტები/ჰიპერმარკეტები: ეს არის დიდი თვითმომსახურების მაღაზია კატეგორიების ფართო არჩევნით, როგორც არის საკვები და არა საკვები პროდუქცია, ასევე საყოფაცხოვრებო და ელექტრო პროდუქცია.
- სპეციალიზირებული მაღაზიები: საცალო გაყიდვების წარმოებები, რომლის უმრავლესობის შემოსავალი წარმოიქმნება კონკრეტული პროდუქტის ტიპის მიერ. სურსათის ბაზარზე მოიცავს საცალო პროდუქტების გამყიდველებს, როგორც არიან კულინარები, ყველის გაყიდვების სპეციალისტები, აგრეთვე თევზის გამყიდველი სპეციალისტი, ხილ-ბოსტანის გამყიდველი, ხორცის გამყიდველი, მეფუნთუშე, და სხვა სპეციალისტები. აგრეთვე ეს ნაწილი მოიცავს ონლაინ გაყიდვებს, რომელიც ხორციელდება საცალო გაყიდვების სპეციალისტის მიერ.

შპს „ლაქტალის ჯორჯია“

2017 წლის მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა)

- აფთიაქები: ეს არის განყოფილება რომელიც ლიცენზირებულია წამლების რეცეპტის გამოწერაში. აფთიაქები ყურადღებას აქცევენ რეცეპტებს და რეცეპტის გარეშე (OTC) ჯანდაცვის პროდუქტებს.
- დამოუკიდებელი გამყიდველები: შედგება ტრადიციული დამოუკიდებელი და ხშირად საოჯახო სასურსათო გამყიდველებისგან, რომლებიც არ წარმოადგენენ დიდ მრავალ საცალო გაყიდვების ჯგუფების ნაწილს.
- გადაიხადე და წაიღე (Cash & Carry) და საწყობის კლუბები (Warehouse clubs): შედგება საწყობებისგან, რომლებიც ეწევიან საბითუმო/საცალო ვაჭრობას.
- სხვა: მოიცავს სხვა და სხვა მაღაზიებს და საცალო გამყიდველებს. აგრეთვე მოიცავს ბაზრის მოვაჭრეებს, ჯიხურებს, მეორადი საქველმოქმედო მაღაზიებს, სავაჭრო კარავებს, მაღაზიებს პირდაპირ ფაბრიკებში და სახლიდან გაყიდვებს ტელევიზიით.

1. კონკურენტების მიმოხილვა

საქართველოს ბაზარზე რძე, სხვა რძის პროდუქტები, და ბავშვთა კვების პროდუქტები საკმაოდ კონკურენტუნარიანია. პროდუქციის ფასზე ძირითადად მოვლენას ახდენს საბაზრო ფაქტორები. მათ შორის ერთ-ერთი უძლიერესი ფაქტორი არის კონკურენტების ფასების სტრატეგია,

ძირითადი კონკურენტი საქართველოს რძის ბაზარზე 2017 წელს იყო Valio, Sante GMT, სოფლის ნობათი და Milko.

2017 წელს რძის გაყიდვაში ლიდერობდა ქართული კომპანია Sante GMT ქართულ ბაზარზე 1997 წლიდან არის წარმოდგენილი და დღეისათვის 130-მდე დასახელების პროდუქტს აწარმოებს. 2016 წელს ფრანგული კომპანია „ლაქტალისი“ კომპანია „სანტეს“ აქციების საკონტროლო პაკეტის მფლობელი გახდა. კომპანიას ეკუთვნის ოთხი ბრენდი, მათ შორის Santissimo, რომელიც სთავაზობს მაღალი ხარისხის რძის ნაწარმს და წარმოადგენს პრემიუმ ბრენდს. Sante სარგებლობს მაღალი დონის ცნობადობით ხანგრძლივი ყოფნით ადგილობრივ ბაზარზე და ახორციელებს პროდუქტის რეგულარულ ტექნიკურ ტესტებს და შემოწმებებს, რომ შეინარჩუნოს თავისი მომხმარებლების ნდობა.

ფინური კომპანია Valio ერთ ერთი ლიდერია ყველის გაყიდვის საქართველოს ბაზარზე. კომპანიის წარმატება არის მიღწეული Valio Gouda და Viola-ს ბრენდების პოპულარობით. ამის გარდა, კომპანია სარგებლობს მაღალი ხარისხის მქონე ბრენდის სახელით და ადგილობრივი მომხმარებლის ნდობით, რადგანაც ის ქართულ ბაზარს მრავალი წლის მანძილზე და უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის პროდუქციით.

ადგილობრივი მწარმოებელი Milko Food ახორციელებს რძემყავე პროდუქტების გაყიდვებს. ეს კომპანია (ადრე ცნობილი, ეკო ფუდი) დიდხანს იმყოფება ბაზარზე და სარგებლობს ბრენდის მაღალი ცნობადობით და განსაკუთრებით ძლიერია რძემყავე პროდუქტებში. კომპანიას აქვს კარგი სადისტრიბუციო ქსელები და მათი პროდუქტია არის ხელმისაწვდომი საცალო გაყიდვებში.

რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანია „სოფლის ნობათი“ 2008 წელს შემოვიდა ქართულ ბაზარზე და დღემდე რძის პროდუქტების სფეროში ოპერირებს. სოფლის ნობათი 2010 წელს შეუერთდა კორპორაცია PepsiCo-ს ჯგუფს, შესაბამისად კომპანიაში დანერგილია უმაღლესი

შპს „ლაქტალის ჯორჯია“

2017 წლის მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა)

სტანდარტები, რომლებიც მომხმარებლისთვის ხარისხიანი პროდუქტის უწყვეტად მიწოდებას უზრუნველყოფს. დღეს სოფლის ნობათი სამი მიმართულებით აწარმოებს რძის პროდუქტებს: სოფლის ნობათი, სოფლის ნობათი რჩეული და სოფლის ნობათი საბავშვო (პირველი ქართული ლიცენზირებული საბავშვო საკვები). პროდუქციის სამივე ხაზი არის უნიკალური და ამავდროულად ჯანსაღი და სასარგებლო.

სხვა რძის ნაწარმის გაყიდვებში (ძირითადად ნაღები, ხაჭო და ნადული) ლიდერობდა კომპანია Sante GMT, რომელსაც მოსდევს Milko საკვები. ლიდერ კომპანიას აქვს მაღალი დონის ბრენდი საქართველოში და სთავაზობს მომხმარებელს ფართო არჩევანს რძის პროდუქციაში. ორივე კომპანიები ძლიერია იმ კატეგორიებში: ნაღები, ნადული და ხაჭო.

ბავშვთა კვების გაყიდვებში ლიდერობს Nestlé თავისი ბრენდებით Nan, Nestlé და Nestogen. Hipp GmbH & Co Vertrieb KG მოჰყვა მის ბრენდს Hipp-ს. ორივე კომპანია გთავაზობთ ძლიერი იმიჯის ბრენდებს, მაღალი ცნობადობით და სარეკლამო მხარდაჭერით, როგორცაა ტელევიზია, რადიო, გარე რეკლამა და ტრანსპორტის მეშვეობით, რეალიზაციის წერტილები და ა.შ. დისტრიბუცია მოიცავს მთელ საქართველოს ტერიტორიას. ბავშვთა კვება არის ძალიან მგრძნობიარე პროდუქტი მომხმარებელთა შორის, ასე რომ, ისინი ძირითადად ყიდულობენ პროდუქტს რომელსაც აქვს დიდი ხნის გამოცდილება.

8. მდგომარეობა ბაზრებზე საქმიანობის მიხედვით:

რძის ნაწარმით ვაჭრობა	1.7%
ბავშვთა კვება	11%

9. ინფორმაცია შვილობილი და მეკავშირე საწარმოების შესახებ:

კონტრაგენტი	ქვეყანა
Lactalis International	France
Lactalis Ukraine	Ukraine
Lactalis Vostok	Russia
Fabrica de Brinzeturi Din Soroca	Moldova
Lactalis Caspi	Azerbaijan
Sante GMT Products	Georgia
Akgida	Turkey
LDA	France
LRD	France
Lactalis Informatics	France
Lactalis Arma	Armenia

10. ფილიალების აღწერა და მდებარეობა:

შპს „ლაქტალის ჯორჯია“-ს აქვს ორი ფილიალი, თბილისის ფილიალი - მდებარე კახეთის გზატ. მე-10 კმ და ბათუმის ფილიალი - მდებარე ქ. ბათუმი, ტბეთის ქ. 3. ბათუმის ფილიალი მოქმედებს 2013 წლიდან.

11. არსებული ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ:

2017 წელს კომპანიას ჰქონდა აღებული 1 წლიანი წამახალისებელი გათამაშების მოწყობის სანებართვო მოწმობა #19-03/236, 07/02/2017-06/02/2018

12. ბრენდების რეპუტაციისა და სიძლიერის შესახებ:

ლაქტალის ჯგუფს ეკუთვნის რამდენიმე ცნობილი ბრენდი საფრანგეთში და მსოფლიოში. ლაქტალის ჯგუფის ბრენდებიდან განსაკუთრებით გამოკვეთილია President.

President-ი არის ფრანგული წარმოშობის საერთაშორისო ბრენდი რომელსაც უჭირავს უმაღლესი ხარისხის ღირებულება.

President-ის ასორტიმენტი უმეტესად მოიცავს რძის პროდუქტებს, მათ შორის: ნატურალურ რძეს, ნაღებს, კარაქს, რბილი ყველს, ხაჭოს, არაჟანს მაგარ და მდნარ ყველს.

ბრენდი President-ის რომელიც მუდმივად უმაღლესი ხარისხის პროდუქტს აწარმოებს და ინოვაციური ბრენდი განაწილებულია მსოფლიოს თითქმის 150 ქვეყანაში. ბრენდის ბრუნვამ გადააჭარბა 1 მილიარდ ევროს 2004 წელს.

უმეტესად საერთაშორისო ცნობილი ბრენდები;

- Galbani არის ძალიან ცნობილი იტალიური ბრენდი ევროპაში ახალი იტალიური ყველის სრული ასორტიმენტით, როგორიცაა მოცარელა, რიკოტა, მასკარპონე... ის ცნობილია იტალიაში ასეთი სახელით: „Galbani ნიშნავს ნდობას“. იტალიის ბაზარზე ლიდერი Galbani-ს პროდუქტები მრავლად არის წარმოდგენილი ევროპაში, აგრეთვე იაპონიაში, კანადაში და ბევრ სხვა ქვეყანაში.
- Parmalat - ლაქტალისი გახდა მსოფლიოში №1 რძის ბაზარზე, მას შემდეგ რაც შეიძინა Parmalat-ის 83.3%,რძის პროდუქტების ლიდერი იტალიაში.
Parmalat - ის პროდუქტების კალათა შეესაბამება ყველის, რძის, იოგურტის, არომატიზირებული კარაქის, მოხარშული კრემის, ნაღების და ხილის წვენებით.

სხვა მნიშვნელოვანი ლაქტალის ბრენდები არიან Societe, lactel, Bridel, Dukat, Invernizzi, Locatelli, Cademartori, Celia, Picot.

„ლაქტალის ჯგუფის“ მიზანია გააერთიანოს ინოვაციები ტრადიციებთან. ჯგუფი აწარმოებს 36 დასახელების ყველს, რომლის სახელი დაცულია საფრანგეთში და სხვა ევროპის ქვეყნებში.

ამჟამად საქართველოს ბაზარზე ოპერირებენ შემდეგი ბრენდები:

- President
- Galbani
- Lactel
- Celia
- Dolce
- Icim
- Seriously strong
- Lactonia
- და სხვა


შპს „ლაქტალის ჯორჯია“

2017 წლის მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა)


13. აიტი-ტექნოლოგიების დანერგვის ხარისხის შესახებ;

შპს „ლაქტალის ჯორჯია“ ბუღალტრული ინფორმაციის დასამუშავებლად იყენებს საბუღალტრო პროგრამას 1C 8.2 საწარმო.

14. ამონაგების მაჩვენებელი და დინამიკა ბოლო 2 წლის განმავლობაში:



15. წმინდა მოგების მაჩვენებელი და დინამიკა ბოლო 2 წლის განმავლობაში:




წმინდა მოგების პროცენტი ამონაგებიდან 2016 წლისთვის 3% და 2017 წლისთვის 12%.


16. კაპიტალდაბანდების მაჩვენებელი და დინამიკა ბოლო 2 წლის განმავლობაში:

შპს „ლაქტალის ჯორჯია“

2017 წლის მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა)



17. სახელფასო ფონდის მაჩვენებელი და დინამიკა ბოლო 2 წლის განმავლობაში:



18. მნიშვნელოვანი არაფინანსური მაჩვენებლების შესახებ:

2016 ბოლოს და 2017 წლის დასაწყისში მოხდა ლოჯისტიკური დეპარტამენტის შემცირება, ავტოპარკის გაყიდვა და გადასვლა outsourcing ლოჯისტიკურ მომსახურებაზე.

19. საკადრო პოლიტიკის ძირითადი მომენტები და თანამშრომლებზე

ზრუნვა/წახალისების პოლიტიკა, დაწესებული სოციალური შეღავათები:

გარდა ხელფასისა შპს „ლაქტალის ჯორჯია“-ს თანამშრომლები სარგებლობენ შემდეგი ბენეფიტებით: დაზღვევა, პროფესიონალური ტრენინგების დაფინანსება ერთხელ წელიწადში კვალიფიკაციის ასამაღლებლად, სატელეფონო სასაუბრო ლიმიტი. მენეჯერებს გამოყოფილი აქვთ სამსახურეობრივი მანქანები.

20. საწარმოს მიმწოდებლების შესახებ:

კომპანიის ძირითადი მიმწოდებლები ჯგუფის ქარხნებია - საფრანგეთში, იტალიაში, უკრაინაში, რუსეთში, თურქეთში და ა.შ.

შპს „ლაქტალის ჯორჯია“

2017 წლის მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა)

21. საწარმოს მომხმარებლების შესახებ:

კომპანია მუშაობს პირდაპირი გაყიდვების გზით, აქედან გამომდინარე კლიენტების სიაში შედის მაღაზიები, სასტუმროები, ბარები, რესტორნები, საბითუმო გამყიდველები მთელ საქართველოს ტერიტორიაზე.

22. საწარმოს მიერ გაწეული საქველმოქმედო ან/და გარემოსდაცვითი ხარჯების შესახებ:

კომპანია 2017 წლის განმავლობაში ეხმარებოდა თავისი პროდუქციით ინვალიდთა ინტელექტუალური კავშირის „ბალავარ“-ს და მოხუცთა და ინვალიდთა სახლს "სიკეთის ლამპარ"-ს.

23. საწარმოს შემდგომი განვითარების გეგმები:

„ლაქტალის ჯორჯიას“ სამომავლო განვითარებისათვის დაგეგმილია გლობალურად წარმოებული პროდუქტების წილის ზრდა ქართულ ბაზარზე. ასევე ახალი კატეგორიების გახსნა, ათვისება და მათი განვითარება.

24. საბაზრო რისკები:

რისკები რამაც გავლენა შეიძლება იქონიოს კომპანიის განვითარებაზე არის, როგორც მსოფლიო მასშტაბის ასევე ლოკალური პრობლემები: მაღალი ინფლაცია რძის ბაზარზე, გლობალური ქარხნების დახურვა/გაყიდვა, პორტუგელში არსებული პროდუქტების (ბრენდების) წარმოების მოულოდნელი შეწყვეტა, ბუნებრივი სტიქიები, ნეგატიური ცვლილებები ქვეყანაში იმპორტირებულ პროდუქტთან მიმართებაში, ქვეყნის მასშტაბით საცალო სავაჭრო ქსელების სტრუქტურაში ძირეული ცვლილება რაც გამოიწვევს შეზღუდვების დაწესებას.

25. სავალუტო რისკები:

კომპანიას აქვს დიდი სავალუტო რისკი, რადგან ძირითადი მომწოდებლები არარეზიდენტებია და ანგარიშსწორება ხდება ევროში ან აშშ დოლარში. ყოველთვიურად ნაციონალური ვალუტის ცვლილების გამო კომპანიას აქვს საკმაოდ დიდი ზარალი გადაფასების გამო, რის გამო 2017 წლის ბოლოს კომპანიის მფლობელები მიიღეს გადაწყვეტილება აიღონ საბანკო სესხი და მოახდინონ კონვერტაცია ვალუტაში, რისი მიზანი იყო სავალუტო რისკის შემცირება.


სავალუტო რისკი

	2016 წელი	2017 წელი
EUR		
აქტივები	268	615,262
ვალდებულებები	1,670,179	899,762
რისკი	1,669,911	284,500
USD		
აქტივები	(200)	18,604
ვალდებულებები	2,952	27,094
რისკი	3,152	8,489

26. საგადასახადო რისკები:

კომპანიას საგადასახადო რისკები არა აქვს.

27. ბიუჯეტში გადახდილი გადასახადების დინამიკა ბოლო 2 წლის განმავლობაში:



2016 წელს ბიუჯეტში გადახდილი თანხა შეადგენს 3 460 385.03 ლარი და 2017 წელს - 4 331 635.05 ლარი.

28. ბოლო 2 წლის განმავლობაში საწარმოში ან საწარმოსთან დაკავშირებით მომხდარი არაორდინალური (როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური) მოვლენების შესახებ:

2017 წლის ბოლოს ბავშვთა კვების პროდუქტებში Celia, Picot, Milumel-ში საფრანგეთში აღმოჩენილ იქნა სალმონელას ბაქტერია. ამასთან დაკავშირებით, შპს „ლაქტალის ჯორჯია“ დაიწყო პროდუქტის ბაზრიდან ამოღება და განადგურება. რაც დიდი ოდენობით ზარალი მოიტანა კომპანიას. 2017 წელს დანაკარგი ამ ოპერაციიდან შეადგინა დაახლოებით 284 504 ლარს.

29. ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები:

დირექტორი: ვიტალი ვასსეპოვი _____

ფინანსური კონტროლიორი: ალენა ხუციშვილი _____

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშების ახსნა განმარტებითი შენიშვნა N2 – „მომზადების საფუძველი“ შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშების მომზადებას მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2018 წლის 17 დეკემბერს:

დირექტორი

ვიტალი ვასსეპოვი

მთ. ბუღალტერი

ალენა ხუციშვილი



შპს „ლაქტალის ჯორჯია“

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული ნაწილის (საქმიანობის მიმოხილვის) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილი - საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

გარიგების პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგად გაიცა აღნიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა:

ზურაბ ართმელაძე

შპს „აუდიტ-არტი“

თბილისი, საქართველო

20 დეკემბერი 2018 წელი



შპს „ლაქტალის ჯორჯია“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	31.12.2017	01.01.2017	
აქტივები			
მიმდინარე აქტივები, სულ:	10,491,725	6,540,663	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,121,434	799,930	5
დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3,809,729	3,954,716	6
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	10,572	4,283	7
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	3,505,421	1,781,734	8
წინასწარ გადახდილი გადასახადები	44,570	-	9
გრძელვადიანი აქტივები, სულ:	138,048	233,559	
ძირითადი საშუალებები	115,288	210,930	
არამატერიალური აქტივები	22,760	22,629	10
სულ აქტივები:	10,629,774	6,774,222	
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:	6,888,366	5,857,132	
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3,436,206	5,419,649	11
საგადასახადო ვალდებულებები	-	1,151	12
გასაცემი პროცენტები, დივიდენდები და მსგავსი ვალდებულებები	26,959	-	13
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	3,000,000	-	14
ანარიცხები	425,201	436,332	15
სულ კაპიტალი:	3,741,408	917,090	
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი	958,710	958,710	
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	2,782,698	(41,620)	
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი			
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	10,629,774	6,774,222	

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2018 წლის 17 დეკემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი _____ ვიტალი ვასსეპოვი
 მთ. ბუღალტერი _____ ალენა ხუციშვილი

თანდართული შენიშვნები მე-13 დან 39-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.


სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2018 წლის 17 დეკემბერს შემდეგ პირთა მიერ:

LACTALIS

აღენა ხუციშვილი



შპს „ლაქტალის ჯორჯია“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანდართული შენიშვნები მე-13 დან 39-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სპეციალური დანიშნულების ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

საანგარიშგებ

ო პერიოდი

2017

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:

მიყიდვებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	26,748,364
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(21,326,747)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(1,212,113)
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(4,336,758)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(356,680)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	(483,934)

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(11,113)
მოკლევადიანი სესხები	3,000,000
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	2,988,887

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:

გადახდილი დივიდენდები	-
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	-
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	(183,449)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	2,321,504

ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის: 799,930

ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის: 3,121,434

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2018 წლის 17 დეკემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

ვიტალი ვასსეპოვი

მთ. ბუღალტერი

ალენა ხუციშვილი

თანდართული შენიშვნები მე-13 დან 39-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ლაქტალის ჯორჯია“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სპეციალური დანიშნულების კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	სააქციო / საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვები	გაუნაწილ. მოგება / დაუფარავი ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	958,710	-	(41,620)	917,090
სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები				-
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები				-
კორექტირების შედეგად გადაანგარიშებული ნაშთები	958,710	-	(41,620)	917,090
საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი			2,824,318	2,824,318
ძირ. საშ. და არამატ. აქტ. გადაფასებიდან შემოსულობები ან ზარალი				-
ფინანსური აქტივების შეფასებიდან შემოსულობები ან ზარალი				-
სხვა ცვლილებები სრულ შემოსავალში				-
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	958,710	-	2,782,698	3,741,408
მესაკუთრების შენატანები კაპიტალში				-
საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა მესაკუთრებისგან				-
განაწილებული დივიდენდები				-
სულ მესაკუთრებთან განხორციელებული ოპერაციები	-	-	-	-
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	958,710	-	2,782,698	3,741,408

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2018 წლის 17 დეკემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

ვიტალი ვასსეპოვი

მთ. ბუღალტერი

ალენა ხუციშვილი

თანდართული შენიშვნები მე-13 დან 39-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.


შპს „ლაქტალის ჯორჯია“

2017 წლის მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა)

26. საგადასახადო რისკები:

კომპანიას საგადასახადო რისკები არა აქვს.

27. ბიუჯეტში გადახდილი გადასახადების დინამიკა ბოლო 2 წლის განმავლობაში:



2016 წელს ბიუჯეტში გადახდილი თანხა შეადგენს 3 460 385.03 ლარი და 2017 წელს - 4 331 635.05 ლარი.

28. ბოლო 2 წლის განმავლობაში საწარმოში ან საწარმოსთან დაკავშირებით მომხდარი არაორდინალური (როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური) მოვლენების შესახებ:

2017 წლის ბოლოს ბავშვთა კვების პროდუქტებში Celia, Picot, Milumel-ში საფრანგეთში აღმოჩენილ იქნა სალმონელას ბაქტერია. ამასთან დაკავშირებით, შპს „ლაქტალის ჯორჯია“ დაიწყო პროდუქტის ბაზრიდან ამოღება და განადგურება. რაც დიდი ოდენობით ზარალი მოიტანა კომპანიას. 2017 წელს დანაკარგი ამ ოპერაციიდან შეადგინა დაახლოებით 284 504 ლარს.

29. ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები:

დირექტორი: ვიტალი ვასსეპოვი

ფინანსური კონტროლიორი: ალენა ხუციშვილი